საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/86 "26" ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

პ. ფხალაძის რუსთავის საქალაქო სასამართლოს
მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №1/35 განკარგულებით ინიცირებულ იქნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ კოლეგიაში მოსამართლის 5 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 2 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 2 მოსამართლის, მათ შორის ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის - პაატა ფხალაძის განაცხადი. პ. ფხალაძეს აქვს აღნიშნულ სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის 4-წლიანი გამოცდილება. ამასთან, იგი 2018 წლიდან თანამდებობაზე გამწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. სამოსამართლო გამოცდილებისა და პირადი მოტივაციის გათვალისწინებით, პ. ფხალაძის აქვს შესაბამისი უნარი გააგრძელოს მუშაობა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დატვირთვის პირობებში. ამასთან, პ. ფხალაძეს აქვს საცხოვრებელი სახლი ქ. რუსთავში, რაც არ გამოიწვევს დამატებითი მატერიალური რესურსის ხარჯვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, პაატა ფხალაძე გათავისუფლდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2020 წლის 10 აგვისტოდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი